№1222 2015 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „კენ. კონსტრაქშენისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №65-ის მიმდებარედ არსებული 41 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.10.13.041.057) და ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №65-ის მიმდებარედ არსებული 42 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.10.13.041.058) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეს შპს „კენ. კონსტრაქშენს“ (ს/კ: №405038418).

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით:

ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში საპრივატიზებო თანხის გადახდა;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიწის ნაკვეთებისათვის საზოგადოებრივი დანიშნულების შენარჩუნება, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან მისასვლელი აუცილებელი გზით (საცალფეხო და საავტომობილო) უსასყიდლოდ სარგებლობის შესაძლებლობა.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**